პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

საკვლევი თემა:

,,მოტივაციის პრობლემა და მისი გადაჭრა მუსიკის გაკვეთილზე მე-5 [1] კლასში "

ავტორი: მაია ქურთაული

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მუსიკის

მასწავლებელი (სტატუსი - უფროსი)

2018 - 2019 წელი

სარჩევი:

შესავალი .....

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა, მიზნები და ამოცანები

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ .....

1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი .....

1.3 მოსალოდნელი შედეგები მოსწავლეთათვის, მასწავლებლისა და კოლეგისათვის .....

1.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები .....

1.5 კვლევის მიზანი .....

1.6 კვლევის ამოცანები .....

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა.....

თავი III

ძირითადი საკვლევი კითხვები/ქვეკითხვები .....

თავი IV

კვლევის დიზაინი

4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი .....

4.2 კვლევის მონაცემების შეგროვება .....

4.3 კვლევის მეთოდები .....

4.4 კვლევის ვადები .....

თავი V

კვლევის შედეგები

5.1მონაცემთა ანალიზი .....

5.2 კვლევის მიგნებები .....

5.3 კვლევის ნაკლოვანებები .....

თავი VI

ინტერვენციები

6.1 ქმედებების / ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება .....

6.2 ქმედებების /ინტერვენციების შედეგების ანალიზი .....

6.3 დასკვნა .....

6.4 რეკომენდაციები .....

ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა .....

რეფლექსია .....

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი არის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მე-5[1] კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიში. კვლევის თემა - მოტივაციის პრობლემა და მისი გადაჭრა მუსიკის გაკვეთილზე მეტად აქტუალურია და გამომდინარეობს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებებიდან. იმედი მაქვს შევძლებ მოსწავლეთა მოტივაციის პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, სტრატეგიების და შემუშავებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვას. საკვლევი საკითხი მნიშვნელოვანია სასწავლო შედეგების და მოსწავლეების მოტივაციის გაზრდის გასაუმჯობესებლად. მოცემული კვლევის შედეგებს გავაცნობ ჩემს კოლეგებს, გავუზიარებ მათ საკუთარ გამოცდილებას, კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები დაეხმარება მუსიკის მასწავლებლებს შედეგების გაუმჯობესებაში.

კვლევაში წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად, მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა, მუსიკალური განათლების დონის ამაღლება, მუსიკალურად კულტურულ ადამიანებად ჩამოყალიბება მომავალი თაობის, ანუ მომავალი საზოგადოების საერთო კულტურის ამაღლებას ნიშნავს. ამით ქვეყანას შეემატება არა მარტო განათლებული, გემოვნებიანი მსმენელი, არამედ შემოქმედებითად დამუხტული, თავისუფალი ადამიანები, რაც მათ ნებისმიერ საქმიანობაში წარმატების სახით იჩენს თავს.

მოცემული კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ის, რომ მასში კვლევის საგანია მოტივაციის პრობლემა მუსიკის სწავლების დროს, კვლევის მიზანს კი წარმოადგენს მუსიკის სწავლების ახალი კონცეფციის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებას.

მადლობა სასკოლო საზოგადოებას, სკოლის ადმინისტრაციას, კოლეგებს, მოსწავლეებს და მშობლებს, რომელთა თანადგომის გარეშე ვერ შევძლებდი წინამდებარე კვლევის განხორციელებას.

1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სკოლამ ფუნქციონირება დაიწყო 2009 წლის 14 სექტემბერს. სკოლაში სწავლობენ და მუშაობენ დიდი და პატარა ლიახვის ხეობისა და ახალგორის რაიონის დევნილი მოსწავლეები და მასწავლებლები. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შენობა აშენდა ,,თი-ბი-სი“ ფონდის ინიციატივითა და მხარდაჭერით. ამჟამად სკოლაში სწავლობს 1023 მოსწავლე (მათ შორის 16 სსსმ მოსწავლეა). ასწავლის 64 მასწავლებელი. მათ შორის 36 უფროსი მასწავლებელია; ფუნქციონირებს 41 კლასი.

მასწავლებლები სისტემატიურად გადიან ტრენინგებს და იმაღლებენ პედაგოგიურ გამოცდილებას. ჩემს მიერ განხორციელებული პრაქტიკული კვლევის მიზანი არის მუსიკის სწავლებისას არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათ გადასაჭრელად ცვლილებების განხორციელება. წარმატებით განხორციელებული კვლევის შედეგი კი აისახება თავისთავად სწავლა-სწავლების ხარისხზე.

მე-5[1] კლასში სწავლობს 22 მოსწავლე. აღნიშნულ კლასში ვასწავლი მუსიკას; მუდმივად ვზრუნავ პროფესიულ განვითარებაზე, ვეცნობი სიახლეებს, ვიყენებ თანამედროვე ტექნოლოგიებს და მეთოდებს.

1.2 პრობლემა და საკვლევი საკითხი

კვლევის დაწყება განაპირობა მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეების მიერ მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის უნარ-ჩვევების არ ქონის პრობლემამ, მუსიკის სწავლების მიმართ დაბალმა მოტივაციამ; მოსწავლეებს გაუჭირდათ მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებების შინაარსის და მიღებული მუსიკალური შთაბეჭდილებების აღქმა და გადმოცემა. მოსწავლეები არ გამოირჩეოდნენ მაღალი აქტივობით, უჭირდათ საკუთარი აზრის

გამოხატვა და მსჯელობა, ვერ ავითარებდნენ ანალიზისა და შედარების უნარებს. მოსწავლეთა ნაწილს არ ჰქონდა დადებითი დამოკიდებულება საგნის მიმართ და არსებობდა მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირების შენარჩუნების პრობლემა გაკვეთილის ბოლომდე. გადავწყვიტე განმეხორციელებინა კვლევა, რომლის შედეგები მომცემდა შესაძლებლობას მუსიკის გაკვეთილი საინტერესო, ინფორმაციული, მრავალფეროვანი და რაც მთავარია – თანამედროვე გამეხადა. კვლევის განხორციელებაში ჩავრთე მე-5[1] კლასის მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები.

1.3. მოსალოდნელი შედეგები მოსწავლეთათვის, მასწავლებლისა და კოლეგისათვის

მიზანმიმართული მუშაობის ჩატარებით საგაკვეთილო პროცესში მივაღწევ მოსწავლეთა ჩართულობის და ინტერესის ზრდას, შესაბამისად მოიმატებს ცოდნის ათვისების ხარისხი, ჩამოყალიბდება დადებითი დამოკიდებულება საგნის მიმართ და მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირება გაკვეთილის ბოლომდე სტაბილური დარჩება. შევძლებ მოსწავლეებს გავუუმჯობესო მოტივაცია მუსიკაში, ხოლო სხვა კლასებთან მუშაობის პროცესში ადვილად მოვაგვარებ მსგავს პრობლემას.

მოსწავლეებს მოტივაციის გაზრდასთან ერთად განუვითარდებათ სხვა ინტელექტუალური შესაძლებლობები.

ვფიქრობ, ჩემი კვლევა გამოადგება ჩემს კოლეგებსაც, ისინი გაიზიარებენ ჩემ გამოცდილებას, იხელმძღვანელებენ ჩემი მიგნებებით და მსგავსი პრობლემის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენებენ ჩემს გამოცდილებას და ჩემს მიერ განხორციელებული ინტერვენციების მოდიფიცირებით შეძებენ ამ პრობლემის მოგვარებას. მიღებული შედეგები და რეკომენდაციები გამოსადეგი და ღირებული იქნება, რათა უკეთ შემუშავდეს ეფექტიანი სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები.

1.4. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

სკოლაში არსებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით მიზეზების კვლევა დავიწყე, ჩავატრე პედაგოგებთან ინტერვიუ, მოსწავლეებს და მშობლებს დავურიგე წინასწარ შემუშავებული კითხვები. მონაცემთა ანალიზის შემდეგ, კერძოდ მე-5[1] კლასში მოსწავლეებთან განვახორციელე დაკვირვება და გამოვკვეთე შემდეგი მიზეზები:

- აქვთ მოტივაციის ნაკლებობა;
- მწირი სასწავლო რესურსები;
- მოსწავლეები ცოდნის გადაცემაზე არ იყვნენ ორიენტირებულნი და უპირატესობას არ ანიჭებდნენ ცოდნის მოპოვების ტექნოლოგიების ათვისებას;
- ნაკლებად ინტერესებოდნენ მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენით, განწყობილების ამოცნობით და მიღებული შთაბეჭდილებებზე საუბრით;
- დაბალი მოტივაცია ჰქონდათ კლასის სპექტაკლში, მიუზიკლში მონაწილეობაზე;
- ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სასკოლო კონცერტებს;
- მოსწავლეთა დროის არასრულფასოვანი გამოყენება;
- მუსიკის მიმართ დაბალი ინტერესი;
- კომპიუტერთან მიჯაჭვულობა;
- მშობლების პასიურობა;

ვფიქრობ ამ პროცესის სწორად განხორციელებაში დამეხმარება საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და ისეთი ტიპის გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება, აგრეთვე კვლევა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მოტივაციის ამაღლებასთან მუსიკაში.

1.5. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება მუსიკის გაკვეთილზე, ღონისძიებების, საჭირო ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება.

კვლევის მიზანია მუსიკის სწავლისადმი დაბალი მოტივაციის მიზეზების დადგენა, ანალიზი და მისი გამოსწორების გზების დასახვა; მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება და მიღებული შდეგების შეფასება.

1.6.კვლევის ამოცანები

- დისგნოსტიკური კვლევა - პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით
    - მონაცემთა შეგროვება;
    - მონაცემთა ანალიზი;
- დიაგნოსტიკური ვკლევს შედეგებზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება
- შედეგების და დასკვნების პრეზენტაცია;
- გამოცდილების გაზიარება;

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი საინტერსო მოსაზრება და მეცნიერული კვლევები არსებობს, სადაც მრავლადაა მითითებები და რეკომენდაციები, მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებით. სწავლის მოტივაცია მოსწავლის წარმატების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. სპეციალისტები გვირჩევენ, მოტივაციის ასამაღლებლად მოსწავლეებს დავუსახოთ მარტივი, შესრულებადი ამოცანები, თანდათან ავუმაღლოთ ცოდნა, შევძინოთ ესა თუ ის უნარი. კომპლექსური, ძნელად შესასრულებელი, დაუძლეველი ამოცანები სწავლის მოტივაციას მხოლოდ ვნებს.

სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია. საინტერესო სტატიებს გავეცანი მოტივაციის ამაღლებასთან დაკავშირებით, და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. თვითრწმენა მნიშვნელოვანი მოტივია სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. წარმატების განცდა მოსწავლეს, საზოგადოდ, ადამიანს ხშირად აღუძრავს სურვილს, აღმოჩნდეს მსგავს მდგომარეობაში, რაც თავისთავად იქცევა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობა აღუძრას ნაცნობი გამოცდილების კონტექსტში, გამოიყენოს ისეთი სტიმულები, რომლებიც არ იქნება მათთვის სრულიად უცხო. საჭიროა ბალანსის დაცვა მოსწავლის უკვე არსებულ კოგნიტურ სქემასა და ახალი დავალების სირთულეს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მოსწავლემ დაუძლევლად მიიჩნიოს ამოცანა და პასიურ მდგომარეობაში გადავიდეს. მასწავლებელმა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილების დადგენა, განსაზღვროს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შედეგად მან უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვასა და მათი მოტივაციის ამაღლებას მუსიკის მიმართ. იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა სწავლის უნარის განვითარებას, აუცილებელია მოტივაციის პრინციპების გააზრება და სასწავლო პროგრამების შედგენისას, ასევე უშუალოდ სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება. ეს საშუალებას მოგვცემს, მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე დაყრდნობით შევქმნათ

ეფექტური და შემოქმედებითი სასწავლო გარემო და უზრუნველვყოთ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის აქტიური და ხალისიანი ჩართვა.

ტელევიზიითა და ინტერნეტით ხშირად გვიწევს არცთუ საუკეთესო მუსიკის მოსმენა. ამიტომ ვცდილობ შევურჩიო მოსწავლეებს მუსიკალური შედევრები და დავაინტერესო ისინი. მუსიკა მოზარდებში იწვევს ემოციას, რომელიც მათ ეხმარებათ სხვადასხვა წინააღმდეგობის გადალახვაში. ინდივიდუალური და დიფერენცირებული სწავლება მეტად იძლევა იმის საშუალებას, რომ რეალიზებული იყოს მოსწავლის შესაძლებლობები, პედაგოგს კი უხსნის მასალის გადაცემის ახალ, საინტერესო გზებს. ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება მუსიკის გაკვეთილებზე, გვაძლევს ახალ შესაძლებლობებს. მიზანშეწონილია პედაგოგმა გამოიყენოს საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები, როგორც მოსწავლეთა ესთეტიკური განვითარების ახალი მიდგომა. მუსიკის გაკვეთილზე გამოიყენება: აუდიო და ვიდეო მასალა, საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები, მულტიმედიური აღჭურვილობა. თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ ინტეგრირება წაახალისებს მოსწავლეებს საკუთარი თავის ახლებურად წარმოჩენაში მუსიკის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა-სტანდარტი მუსიკის სწავლებისადმი ახლებურ და თანამედროვე მიდგომას ითვალისწინებს – მუსიკის სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს, მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ით. გაკვეთილები ძირითადად შედგება პრაქტიკული და სახალისო აქტი-ვობებისგან, რაც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. სასწავლო პროგრამის მიხედვით არის მოცემული აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ბუკებისა და მუსიკალურ-კომპიუტე-რულ პროგრამა LMMS-ის (audacity, LMMS) საშუალებით უნდა შესრულდეს.

კომპიუტერის კომპეტენტურად გამოყენება თავიდან აგვაცილებს ვიზუალური საშუალებების დეფიციტს, ხელს შეუწყობს სასწავლო მასალის უკეთესად ათვისებას და გაზრდის მუსიკის საგნის მიმართ ინტერესს.

ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილებს ხდის უფრო ინფორმაციულს, მრავალფეროვანს და რაც მთავარია – თანამედროვეს.

თავი IV

კვლევის დიზაინი

4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

- მე-5[1] კლასის 22 მოსწავლე
- მოსწავლეთა მშობლები
- მასწავლებლები

4.2. მონაცემთა შეგროვების მეთოდები

ინფორმაციისა და მონაცემთა შეგროვება განვახორციელე კვლევის ორივე მეთოდის გამოყენებით, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი. თვისობრივში გამოვიყენე უბრალო დაკვირვება და ფოკუს-ჯგუფი. ხოლო რაოდენობრივში გამოვიყენე: ანკეტირების ფორმა და კითხვარები.

თვისობრივი დაკვირვება ხდება მასწავლებლის მოსწავლეებთან კომუნკაციით, პრაქტიკული მუშაობით.

თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები გამომადგა საკვლევი პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასადგენად და ასევე ინტერვენციების შემდეგ მიღებული შედეგების გასაზომად.

უბრალო დაკვირვება გამოვიყენე კვლევის დაწყების ფაზაში, როდესაც მჭირდებოდა საკვლევი საკითხის ზუსტი ჩამოყალიბება და ასევე ჩემი სურვილი იყო აღმომეჩინა რა პრობლემის წინაშე ვიდექი მოცემულ კლასში.

ფოკუს-ჯგუფი - ეს ფორმა ავირჩიე მოსწავლეებთან ურთიერთობისათვის, რათა მიმეღო ჩემთვის სასურველი ინფორმაცია და გამეგო მათი მოსაზრებები. ფოკუს-ჯგუფი გამოვიყენე როგორც კვლევის დასაწყისში, ასევე კვლევის დასრულებისას, რათა გამეზომა მიღებული შედეგი. შევადგინე ინსტუმენტი (სავარაუდო სადიკსუსიო თემების ჩამონათვალი); მიღებული შედეგები დაჯამდა დიაგრამების ფორმით;

ანკეტირება - გამოვიყენე მშობლებთან, ჩემი სურვილი იყო მშობლებისგან მიმეღო ინფორმაცია, რომელიც მჭირდებოდა შემეჯერებინა ჩემს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან. ანკეტირების კითხვების შედგენისას გავითვალისწინე მშობელთა თავისუფალი დრო და არ შევადგინე რთული და მრავალკითხვიანი კითვარი (იხ. მშობელთა კითხვარი); მიღებული შედეგები დაჯამდა დიაგრამების ფორმით;

ინტერვიუ - გამოვიყენე მასწავლებლებთან, რათა გამერკვია იგივე პრობლემის წინაშე იდგნენ თუ არა, არსებობდა თუ არა მოტივაციისათან დაკავშირებული პრობლემა. კითხვარები ავირჩიე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე და ჩემი მიზანი იყო კოლეგებს დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი არსებული პრობლემის შესახებ, მიღებული ინფორმაცია გამომადგა შემდეგში საკვლევი საკითხის გაანალიზებაში და ინტერვენციების დაგეგმვაში (იხ. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოყენებული კითხვები). მიღებული შედეგები დაჯამდა დიაგრამების ფორმით;

4.4 კვლევის ვადები

აქტივობები	**ნოემბერი**	**დეკემბერი**	**იანვარი**	**თებერვალი**	**მარტი**	**აპრილი**	**მაისი**	**ივნისი**

საკვლევი საკითხის შერჩევა	√							
საკვლევი სავარაუდო გეგმის შემუშავება	√							
ლიტერატურის მოძიება და დამუშავება	√							
კვლევის მიზნისა და ამოცანების შემუშავება	√							
სამიზნე ჯგუფის ჩამოყალიბება	√							
დაკვირვება მოსწავლეებზე და ანალიზი	√	√	√	√	√	√	√	
კითხვარების შედგენა		√						
ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან		√						
ფოკუს-ჯგუფის ანალიზი		√						
მშობელთა ანკეტირება		√						
ინტერვიუ მასწავლებლებთან		√						
მონაცემთა ანალიზი			√					
სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა			√					
ინტერვენციების განხორციელება			√	√	√	√	√	

შედეგების ანალიზი/ დასკვნა							√	
კვლევის პრეზენტაცია								√
კვლევის ანგარიშის ატვირთვა								√

თავი V

კვლევის შედეგები

5.1. მონაცემთა ანალიზი

საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზების სწორად გამოკვეთის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე კითხვარები და ინტერვიუ.

საკვლევი პრობლემის უკეთ გამოკვეთის მიზნით, შევადგინე კითხვარი მოსწავლეებისათვის (დანართი N1). რომელიც მოიცავდა დახურულ კითხვებს. კითხვარის შევსებაში ყველა მოსწავლე მონაწილეობდა. მათ კითხვარი კლასში შეავსეს. საკვლევი პრობლემის აქტუალობის დასადგენად შევადგინე კითხვარი ასევე მშობლებისათვის **(დანართი N2).** კითხვარის შევსებაში 18-მა მშობელმა მიიღო მონაწილეობა. მშობელთა შეხვედრის დღეს, მათ გავატანე სახლში ეს კითხვარები შესავსებად და დასაბრუნებლად ჰქონდათ 2-3 დღე. დროის ეს მონაკვეთი საშუალებას აძლევდა მშობლებს სრულად და ყურადღებით შეევსოთ კითხვარი. მიღებული კითხვარების შინაარსის შესწავლამ და ანალიზმა ზოგადი წარმოდგენა შემიქმნა მშობელთა ჩართულობასა და როლზე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიმართულებით მუსიკის გაკვეთილზე.

აღსანიშნავია, რომ ჩემი კოლეგები დაინტერესდნენ საკვლევი თემით და აქტიური მონაწილეობა მიიღეს ინტერვიურებაში. ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო სკოლაში

დასაქმებულმა 20 მასწავლებელმა. კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ მოსწავლეთა მოტივაცია დაბალია სხვა საგნებშიც და საჭიროებს სიახლეებით და რესურსებით მრავალფეროვან გაკვეთილებს, კოლეგებს შორის ინტენსიურ თანამშრომლობას გამოცდილების გაზიარების მიზნით და პრობლემების ერთობლივად განხილვას დამათი გადაჭრის გზების ძიებას.

დანართი N1

მე-5 [1] კლასის მოსწავლეთა კითხვარი

1. აკავშირებთ თუ არა მუსიკის სწავლებასა და სკოლის გარეთ ცხოვრებას ერთმანეთთან?
   ა. დიახ; ბ. არა; გ. ხანდახან;

   დიაგრამა N1



2. **მრავალფეროვანია თუ არა მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგიები და აქტივობები მუსიკის გაკვეთილზე?**

ა. დიახ; ბ. არა; გ. ხანდახან;

დიაგრამაN2



3. **რამდენად ხშირად დადიხართ ოპერისა და ბალეტის თეატრში, კონცერტებზე და სხვა?**

ა. ხშირად; ბ. არ დავდივარ; გ. ხანდახან;

დიაგრამა N3



4. რომელი აქტივობა გახდიდა მუსიკის გაკვეთილს საინტერესოს?

ა. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება; ბ. ინტეგრირება სხვა საგანთან; გ. საკლასო კონცერტი, მიუზიკლი; დ. მუსიკის მოსმენა; ე.პროექტებით სწავლება; ვ. დისკუსია.

დიაგრამაN4


რომელი აქტივობა გახდიდა მუსიკის გაკვეთილს საინტერესოს?
25%
12%
17%
12%
17%
17%
ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება
ინტეგრირება სხვა საგანთან
საკლასო კონცერტი,მიუზიკლი
მუსიკის მოსმენა
პროექტებით სწავლება
დისკუსია

5. **რა სიხშირით გიტარდებათ სხვა საგანთან ინტეგრირებული მუსიკის გაკვეთილი?**

ა. ხშირად; ბ. არ გვიტარდება; გ. ხანდახან გვიტარდება;

დიაგრამაN5



6. **კლასის ფიზიკური გარემოს მდგომარეობა ახდენს თუ არა დადებით გავლენას თქვენს განწყობასა და სწავლის შედეგებზე?**

ა. დიახ; ბ. არა;

დიაგრამაN6



დანართი N2

კითხვარი მშობლებისთვის

1. ესაუბრებით თუ არა თქვენს შვილს განათლების მიღების მნიშვნელობაზე?

   ა. დიახ; ბ. არა; გ. იშვიათად;

დიაგრამაN7



2. ეხმარებით თუ არა სწავლის პროცესში თქვენს შვილს წარმოქმნილი პრობლემის გადალახვაში?

ა. დიახ; ბ. არა; გ. იშვიათად;

დიაგრამაN8



3. რა სიხშირით დაგყავთ თქვენი შვილი ოპერისა და ბალეტის თეატრში, სპექტაკლზე, კონცერტზე?

   ა. ხშირად; ბ. არ დამყავს; გ. იშვიათად;

დიაგრამა N 9


რა სიხშირით დაგყავთ თქვენი შვილი ოპერისა და ბალეტის თეატრში,სპექტაკლზე,კონცერტზე?
17%
28%
55%
ხშირად
არ დამყავს
იშვიათად

4.ჩართული ხართ თუ არა სასკოლო ცხოვრებაში?

ა. დიახ; ბ. არა; გ. იშვიათად;

დიაგრამა N10



დანართი N3

ინტერვიუ მასწავლებლებლებთან:

- რომელი აქტივობები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას გაკვეთილზე?
- როდის არიან მოსწავლეები თქვენს გაკვეთილზე დემოტივირებულები?

- იყენებთ თუ არა ხერხებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის აღძვრას ახალი მასალის მიმართ (მოსაზრებების ურთიერთგაზიარება, ახალი სასწავლო მასალის შინაარსის დაკავშირება მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, შეძენილი ცოდნის აქტივაცია და ა.შ.);

- უზრუნველყოფთ თუ არა შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას;

- უზრუნველყოფთ თუ არა დაგეგმილ აქტივობათა განხორციელებისათვის სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევას (ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფური, მთელი კლასის მონაწილეობით);

- ზრდის თუ არა მოსწავლეთა მოტივაციას სიტყვიერი შექება ან წახალისება?

- თანამშრომლობითი სწავლება იწვევს თუ არა ცვლილებებს მოსწავლეთა თვითშეფასებაში, პასუხისმგებლობასა და ურთერთდამოკიდებულებაში?

- კლასის ფიზიკური გარემოს ცვლილება ახდენს თუ არა დადებით გავლენას მოსწავლის განწყობასა და სწავლის შედეგებზე;

მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის რაოდენობრივი მონაცემები პროცენტულად არის წარმოდგენილი დიაგრამების სახით.

მოსწავლეთა გამოკითხვით აღმოჩნდა,რომ კითხვაზე,,აკავშირებთ თუ არა მუსიკის სწავლებასა და სკოლის,გარეთ ცხოვრებას ერთმანეთთან?“45%-არა;32%-დიახ;23%ხანდახან.კითხვაზე,,მრავალფეროვანია თუ არა მასწავლებლის მიერ

გამოყენებული სტრატეგიები და აქტივობები მუსიკის გაკვეთილზე?“მოსწავლების პასუხს ასეთი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა 50%-არა;27%-ხანდახან;23%არა.კითხვაზე,,რამდენად ხშირად დადიხართ ოპერისა და ბალეტის თეატრში, კონცერტებზე და სხვა?“ ასეთი მაჩვენებელია 89%-არ დავდივარ;6%-ხანდახან;5%- ხშირად. კითხვაზე ,,რომელი აქტივობა გახდიდა მუსიკის გაკვეთილს საინტერესოს?“ დავადგინე, 25%-ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება; 12%-ინტეგრირება სხვა საგანთან; 17%-საკლასო კონცერტი, მიუზიკლი; 12%-მუსიკის მოსმენა; 17 %-პროექტებით სწავლება;17%-დისკუსია.კითხვაზე ,, რა სიხშირით გიტარდებათ სხვა საგანთან ინტეგრირებული მუსიკის გაკვეთილი?დავადგინე,რომ 86%-არ გვიტარდება;9%-ხანდახან;5%- ხშირად.კითხვაზე,,კლასის ფიზიკური გარემოს მდგომარეობა ახდენს თუ არა დადებით გავლენას თქვენს განწყობასა და სწავლის შედეგებზე? -95% დიახ.

მშობელთა გამოკითხვის შედეგები ასეთია : კითხვაზე,,ესაუბრებით თუ არა თქვენს შვილს განათლების მიღების მნიშვნელობაზე?

39%- დიახ; 28% არა; 33%-იშვიათად; ხოლო კითხვაზე ,, ეხმარებით თუ არა სწავლის პროცესში თქვენს შვილს წარმოქმნილი პრობლემის გადალახვაში?დავადგინე,რომ 45%დიახ; 11% -არა; 44 %-იშვიათად.კითხვაზე ,,რა სიხშირით დაგყავთ თქვენი შვილი ოპერისა და ბალეტის თეატრში, სპექტაკლზე, კონცერტზე? გავიგე ,რომ 17%- ხშირად; 55 %-არ დამყავს; 28%- იშვიათად.კითხვაზე ,, ჩართული ხართ თუ არა სასკოლო ცხოვრებაში?“ ასეთი მაჩვენებელია: 50%-დიახ; 22 %-არა; 28% იშვიათად.

(დანართი N1; დანართი N2;) ასევე ერთვის მასწავლებელთა ინტერვიუ (დანართი N3)

5.2. კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მიგნება:

- საჭიროა გათვალისწინებული იქნას მოზარდის ასაკობრივი ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, როგორც სასწავლო პროცესში, ასევე ოჯახში;
- საჭიროა პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და შემდეგ შესაბამისად მოქმედება;
- აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა მასწავლებლებს შორის ასაკობრივ პრობლემებთან დაკავშირებით და ეს მხოლოდ დამრიგებლის და მშობლის მოვალეობა არ არის;
- აუცილებელია მასწავლებლების მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობა და პრობლემების მოგვარების გზების ძიება;
- დაბალი მოტივაცია;
- სასწავლო რესურსების სიმწირე;
- საინტერესო აქტივობების სიმცირე;
- წამახალისებელი ღონისძიებების ნაკლებობა;
- მშობელთა არასაკმარისი ჩართულობა;
- პედაგოგთა მიდგომა და დამოკიდებულებები, სითბოს, კეთილგანწყობისა და სიყვარულის გამოხატვა; მოსწავლეებთან კარგი ურთიერთობის დამყარება;
- პროექტებით სწავლების საჭიროება;
- საინტერესო მასალების შერჩევა მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე;
- დავანახოთ მოსწავლეებს ის, რომ სწავლა სიამოვნებაა;
- მივცეთ მოსწავლეებს წარმატების მიღწევის იმედი;
- თანამშრომლობითი სწავლება იწვევს ცვლილებებს მოსწავლეთა თვითშეფასებაში, პასუხისმგებლობასა და ურთერთდამოკიდებულებაში;
- თანამშრომლობითი სწავლების დანერგვით შესაძლებელია საგნის მიმართ მოზარდების ნეგატიური დამოკიდებულება-განწყობის შეცვლა პოზიტიურით;

5.3 კვლევის ნაკლოვანებები

- კვლევის განხორციელებისას გამოცდილების არ ქონა;
- მოსწავლეთა ნაწილის ზედაპირული დამოკიდებულება;
- მშობლების მიერ ინტერესის არ ქონა;

თავი VI

ინტერვენციები

6.1 ქმედებების / ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება

მონაცემთა ანალიზის დადგენის შემდეგ:

- კვლევის თერიულ ჩარჩოზე დაყრდნობით (იხ. ლიტერატურის მიმოხილვა) შევიმუშავე მოტივაციის ამაღლებისთვის საჭირო სტრატეგიები;

- შევიმუშავე სხვადასხვა ინტერვენციები მოტივაციის ამაღლების მიზნით.

- გავიაზრე მასწავლებლის როლი, თუ რა ხერხით ცდილობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას;
- მშობელთა ჩართულობის გაძლიერება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსწავლეების სწავლების შედეგების და სწავლის პროცესში მოტივაციის გაუმჯობესებისათვის კვლევის პროცესში: ჩავატარე ვიქტორინა თემაზე ,,მუსიკა კინოსა და თეატრში“, მოვაწყე სახალისო თამაში ,,გამოიცანი მელოდია“, სკოლაში მოვიწვიე ცნობილი ქართველი კომპოზიტორები ვაჟა აზარაშვილი და ვაჟა დურგლიშვილი, განვიხილეთ მათი შემოქმედება და შესრულდა მათი სიმღერები, კლასში მოვამზადეთ რიჩარდ როჯერსის მიუზიკლი ,,მუსიკის ჰანგები“, მოვაწყეთ პრეზენტაციები და დაჯილდოებები, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის დრამატულ

თეარში დავესწარით და ვუსმინეთ ოპერას ,,ქეთო და კოტე“, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოვისმინეთ საფორტეპიანო კონცერტი ახალგაზრდა პიანისტთა შესრულებით.

მოტივაციის ამაღლების მიზნებისთვის, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, გადავწყვიტე უცხოელი პედაგოგების ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, კერძოდ კვლევის პროცესში მუსიკის სწავლების დასავლური მეთოდოლოგიის გაცნობისა და გაზიარების მიზნით „სახ. კონსერვატორისა და ნორვეგიის მუსიკის აკადემიას (ოსლო) შორის ერთობლივი პროექტის (Bridging the Gap - Qualifying Music Students for a Changing Music Profession, პროექტის ნომერი CPEA-2015/10004 - 2016-2019) ფარგლებში ნორვეგიელი პროფესორების და მუსიკის პედაგოგიკის სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფის (სულ 15 სპეციალისტი) მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვნის N3 საჯარო სკოლაში ერთობლივად ჩავატარეთ მუსიკის გაკვეთილები, მასტერკლასი მოსწავლეებისა და მუსიკის მასწავლებლებისათვის და ასევე შემაჯამებელი კონცერტი.

მუსიკა კრეატიული ხელოვნებაა, ასე რომ მუსიკის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მიზნად ისახავს კრეატიული უნარების გამომუშავებას ბავშვებში, მუსიკის გაკვეთილები ეხმარება მათ გამოხატონ საკუთარი თავი, გაიმდიდრონ წარმოსახვა, სიამოვნება მიიღონ მუსიკისგან. დასავლური საგანმანათლებლო სისტემის მრავალწლიანმა პრაქტიკამ (გერმანია, ფინეთი, ნორვეგია, დანია და სხვ.) დაგვარწმუნა ზოგადი მუსიკალური განათლების ამ მიდგომის წარმატებასა და სისწორეში. ნორვეგიის მუსიკის აკადემიის მუსიკის სწავლების მეთოდოლოგია სწორედ ამ უნარების განვითარებაზეა მიმართული; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ უნარების გამომუშავება ხდება ბავშვის მუსიკალური მონაცემის მიუხედავად.

6.2 ქმედებების /ინტერვენციების შედეგების ანალიზი

ინტერვენციების განხორციელების შედეგად მოსწავლეები იყვნენ მოტივირებულები, ხალისით ქმნიდნენ შემოქმედებით პროდუქტს (მუსიკალური კომპოზიცია, თანხლება, მუსიკალური ლოგოტიპი); მაღალი იყო საკლასო აქტივობებში ჩართულობა; მოსწავლეებმა შეძლეს განხორციელებული ინტერვენციების შედეგად მუსიკის სწავლების ორივე მიმართულებით (შემოქმედებითობა, პრაქტიკა და მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია) შესაბამის შედეგებზე გასვლა. კერძოდ: ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაციის მომზადება; იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება; მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის განხილვა და მათი მუსიკალური ანალოგიების შექმნა; მონაწილეობა მიიღეს დისკუსია - დებატებში.

6.3 დასკვნა

კვლევის შედეგები:

კვლევაში მითითებული ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, კლასში დაძლეულ იქნა ის პრობლემა, რაც ჩემი კვლევის დაწყების მიზეზი იყო. ვითვალისწინებდი ჩემი მოსწავლეების ცოდნას, შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და ინტერესებს. გაკვეთილზე გამოყენებულმა მრავალფეროვანმა და განსხვავებულმა აქტივობებმა მუსიკის სწავლება ჩემი მოსწავლეებისთვის საინტერესო პროცესად აქცია, გაიზარდა მათი მოტივაცია და ჩართულობა.

კვლევის საფუძველზე, რომელიც მოიცავდა პრობლემის შესწავლის, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს, შემიძლია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისათვის. გამოკვლევის თანახმად,რაც უფრო მეტად არის ჩართული მშობელი შვილის სწავლებისა და განათლების მიღების პროცესში, ესაუბრება მას განათლების მიღების მნიშვნელობაზე და ეხმარება მას სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემის გადალახვაში, მით უფრო მაღალია მოსწავლეთა მოტივაცია სასწავლო პროცესში.

6.4 რეკომენდაციები

რეკომენდაციები:

1. იყავით ორიენტირებული მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე;

2. მოსწავლეს დაანახეთ დავალების მიზანი, მისი საჭიროება, კავშირი კლასში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის;

3. გაამდიდრეთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებით და სტრატეგიებით;

4. მოიწვიეთ მუსიკის სფეროს ცნობილი წარმომადგენლები, ჩაატარეთ ერთობლივი გაკვეთილები, მოაწყეთ დისკუსია, მათი შემოქმედებითი საღამოები;

5. წაიყვანეთ მოსწავლეები ოპერისა და ბალეტის თეატრში, კონსერვატორიაში, თეატრში და სხვა;

6. მუსიკის სწავლება განახორციელეთ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ით;

7. გამოიყენეთ წამახალისებელი ღონისძიებები (შექება, ჯილდო, სიგელი და სხვა);

8. გააძლიერეთ მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, სასწავლო პროცესებში;

9. გამოიყენეთ თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი; თანამშრომლობითი სწავლების დანერგვით შესაძლებელია საგნის მიმართ მოსწავლის ნეგატიური დამოკიდებულება-განწყობის შეცვლა პოზიტიურით;

10. გააუმჯობესეთ საკლასო ოთახის ფიზიკური მდგომარეობა;

11. მუსიკის გაკვეთილების მიმდინარეობისას გამოიყენეთ თანამედროვე სასწავლო ინსტრუმენტების ციფრული მეთოდები:

ა) ვიდეო მასალა: ფრაგმენტები ოპერიდან, ბალეტიდან, მიუზიკლიდან, მუსიკალური ფილმებიდან, კლასიკური და პოპულარული მუსიკის კონცერტებიდან; ფრაგმენტები მხატვრული და დოკუმენტური ფილმებიდან, სადაც ასახულია კომპოზიტორთა ცხოვრება და შემოქმედება;

ბ) სინთეზურ-ვიზუალური მასალა: კომპოზიტორების და მსოფლიო მუსიკის კლასიკოსების პორტრეტები; ხალხური, თანამედროვე და კლასიკური ნაწარმოებების შესრულება; თემატური ნახატები, მუსიკალური ნაწარმოებების ხელნაწერთა ფოტოები; ხელოვნების ნაწარმოებების რეპროდუქცია. მასალები კომპოზიტორებისა და

შემსრულებლების მემორიალური მუზეუმებიდან, დოკუმენტური ფოტოები, კონკრეტული ხელოვნების ფოტოები;

გ) მუსიკალური ფონოგრამები: სიმღერის შესრულების ხმოვანი ფონოგრამები (“პლიუსი” და “მინუსი”), რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მიიღონ მონაწილეობა ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებთან მუშაობის პროცესში;

დ) ლიტერატურული მასალა: ხელმისაწვდომი, გამოსახულებითი ინფორმაციული ტექსტები, რომელიც გვეხმარება მუსიკალურ მხატვრული ნაწარმოებების შინაარსის აღქმაში. ძირითად დამატებით მასალას წარმოადგენს მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების განმარტება, მუსიკალური ნაწარმოების ვერბალური აღწერა. კომპოზიტორის, შემსრულებლების ცნობილი ციტატები, მემუარები, წერილების ფრაგმენტები;

ე) მოსწავლეთა შემოქმედებითი (ინტერაქტიული) დავალებები: კითხვები, დიაგნოსტიკური ტესტები, პრობლემური სიტუაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო მასალის გაგებას და ასრულებს მოსწავლეთა მუსიკალური კულტურის განვითარების წარმატების მონიტორინგის ფუნქციას;

ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024); მუსიკის სტანდარტი;
2. სწავლის მოტივაცია - თეორია და სტრატეგიები, მარიკა სიხარულიძე, თბილისი, 01.04.2013 წ., ელექტრონული ჟურნალი www.mastsavlebeli.ge
3. სწავლის მოტივაციის შიდა ფაქტორები, 06.01.2015 წ., ელექტრონული ჟურნალი www.mastsavlebeli.ge;

4. სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე, დალი დოლიძე, თბილისი, 14.11.2018 წ., ელექტრონული ჟურნალი www.mastsavlebeli.ge;
5. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე, დ. დოლიძე, თბილისი, 14.05.2019 წელი, ელექტრონული ჟურნალი www.mastsavlebeli.ge;
6. მუსიკის სწავლების კონცეფცია ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმის კონტექსტში, რუსუდან თაყაიშვილი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2006 წელი;
7. პედაგოგიური სიტუაციების მოდელირება, როგორც მუსიკის მასწავლებლის მომზადებისა და გადამზადების საშუალება, ელზა გარაყანიძე, სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 წელი;

კვლევის რეფლექსია

პრაქტიკული კვლევის თემაში გამოკვეთილია ის ძირითადი გარემოებები, რომლებიც აფერხებს მოსწავლეებში მუსიკის გაკვეთილზე მოტივაციის ამაღლებას და განხილულია ის ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას შეუწყობს ხელს.

შევეცადე დამედგინა მუსიკის გაკვეთილზე დაბალი მოტივაციის პრობლემის გამომწვევი მიზეზები. შევარჩიე მეთოდები, რომელთაც გამოვიყენებდი საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად, კერძოდ: კითხვარები, ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუ. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დავადგინე პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ჩამოვაყალიბე დასკვნები და დავგეგმე ინტერვენციები.

დავგეგმე აქტივობები, რომლებიც მოსწავლეების დამოკიდებულებას შეცვლიდა მუსიკის მიმართ და შეუქმნიდა შინაგან მოტივაციას სასწავლო პროცესში.

იმისათვის, რომ უფრო საინტერესო ყოფილიყო მუსიკის გაკვეთილი მოსწავლეების სწავლების შედეგების და სწავლის პროცესში მოტივაციის გაუმჯობესებისათვის კვლევის პროცესში: ჩავატარე ვიქტორინა თემაზე ,,მუსიკა კინოსა და თეატრში", მოვაწყე სახალისო თამაში ,,გამოიცანი მელოდია", სკოლაში მოვიწვიე ცნობილი ქართველი კომპოზიტორები ვაჟა აზარაშვილი და ვაჟა დურგლიშვილი, განვიხილეთ მათი შემოქმედება და შესრულდა მათი სიმღერები, კლასში მოვამზადეთ რიჩარდ როჯერსის მიუზიკლი ,,მუსიკის ჰანგები", მოვაწყეთ პრეზენტაციები და დაჯილდოებები, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის დრამატულ თეარში დავესწარით და ვუსმინეთ ოპერას ,,ქეთო და კოტე", ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მოვისმინეთ საფორტეპიანო კონცერტი ახალგაზრდა პიანისტთა შესრულებით.

მოტივაციის ამაღლების მიზნებისთვის, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, გადავწყვიტე უცხოელი პედაგოგების ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, კერძოდ კვლევის პროცესში მუსიკის სწავლების დასავლური მეთოდოლოგიის გაცნობისა და გაზიარების მიზნით „სახ. კონსერვატორისა და ნორვეგიის მუსიკის აკადემიას (ოსლო) შორის ერთობლივი პროექტის (Bridging the Gap - Qualifying Music Students for a Changing Music Profession, პროექტის ნომერი CPEA-2015/10004 - 2016-2019) ფარგლებში ნორვეგიელი პროფესორების და მუსიკის პედაგოგიკის სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფის (სულ 15 სპეციალისტი) მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვნის N3 საჯარო სკოლაში ერთობლივად ჩავატარეთ მუსიკის გაკვეთილები, მასტერკლასი მოსწავლეებისა და მუსიკის მასწავლებლებისათვის და ასევე შემაჯამებელი კონცერტი.

ამ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ვაკვირდებოდი მოსწავლეებს. ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ მოსწავლეთა უმეტესობას გავუღვიძე მუსიკის სწავლების შინაგანი მოტივაცია, ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდა. თითოეული ინტერვენციის შემდეგ

იზრდებოდა მოსწავლეთა ინტერესი და დამოკიდებულება მუსიკის მიმართ დადებითი ხდებოდა.

კვლევის მიმდინარეობისას საკვლევი საკითხის გაანალიზება და პრობლების იდენტიფიცირება სწორად მოხდა. ამის საფუძველი მომცა იმ მეთოდების ანალიზმა, რომლებიც კვლევისას გამოვიყენე. კვლევის სწორად წარმართვამ და განხორციელებულმა ინტერვენციებმა მკვეთრად გამოკვეთა შემაფერხებელი ფაქტორები და დაგვანახა თუ როგორი მიდგომებითა და თანმომდევრული აქტივობებითაა შესაძლებელი მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა.

ჩატარებული ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიების შემდეგ მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და სამახსოვო ბარათებით.

კვლევის შედეგები კოლეგებს არამარტო დასასრულს, პრეზენტაციის დროს გავუზიარე, არამედ ყოველი ინტერვენციის შემდეგაც ვაცნობდი, მსჯელობდით, ვაანალიზებდით, ისინი აქტიურად ადევნებდნენ თვალს ჩემი კვლევის თითოეულ აქტივობას.

კოლეგებმა კვლევის გაცნობის შემდეგ დიდი მოწონება გამოთქვეს და აღნიშნეს, რომ ეს საკითხი მეტად აქტუალურია არა მარტო დაწყებით საფეხუზე, არამედ სხვა საფეხურებზეც. და აუცილებლად გაითვალისწინებენ და გამოიყენებენ მოცემული კვლევის ინტერვენციებსა და მიგნებებს.

დანართი N1

მე-5 [1] კლასის მოსწავლეთა კითხვარი

7. აკავშირებთ თუ არა მუსიკის სწავლებასა და სკოლის გარეთ ცხოვრებას ერთმანეთთან?

   ა. დიახ; ბ. არა; გ. ხანდახან;

8. **მრავალფეროვანია თუ არა მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგიები და აქტივობები მუსიკის გაკვეთილზე?**

   ა. დიახ; ბ. არა; გ. ხანდახან;

9. **რამდენად ხშირად დადიხართ ოპერისა და ბალეტის თეატრში, კონცერტებზე და სხვა?**

   ა. ხშირად; ბ. არ დავდივარ; გ. ხანდახან;

10. **რომელი აქტივობა გახდიდა მუსიკის გაკვეთილს საინტერესოს?**

    ა. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება; ბ. ინტეგრირება სხვა საგანთან; გ. საკლასო კონცერტი, მიუზიკლი; დ. მუსიკის მოსმენა; ე. დისკუსია; ვ. პროექტებით სწავლება;

11. **რა სიხშირით გიტარდებათ სხვა საგანთან ინტეგრირებული მუსიკის გაკვეთილი?**

ა. ხშირად; ბ. არ გვიტარდება; გ. ხანდახან გვიტარდება;

12. კლასის ფიზიკური გარემოს მდგომარეობა ახდენს თუ არა დადებით გავლენას თქვენს განწყობასა და სწავლის შედეგებზე?

ა. დიახ; ბ. არა;

დანართი N2

კითხვარი მშობლებისთვის

4. ესაუბრებით თუ არა თქვენს შვილს განათლების მიღების მნიშვნელობაზე?

ა. დიახ; ბ. არა; გ. იშვიათად;

5. ეხმარებით თუ არა სწავლის პროცესში თქვენს შვილს სწავლის პროცესში წარმოქმნილი პრობლემის გადალახვაში?

ა. დიახ; ბ. არა; გ. იშვიათად;

6. რა სიხშირით დაგყავთ თქვენი შვილი ოპერისა და ბალეტის თეატრში, სპექტაკლზე, კონცერტზე?
   ა. დიახ; ბ. არა; გ. იშვიათად;

7. ჩართული ხართ თუ არა სასკოლო ცხოვრებაში?
   ა. დიახ; ბ. არა; გ. იშვიათად;

დანართი N3

ინტერვიუ მასწავლებლებლებთან:

- რომელი აქტივობები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას გაკვეთილზე?

- როდის არიან მოსწავლეები თქვენს გაკვეთილზე დემოტივირებულები?

- იყენებთ თუ არა ხერხებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის აღძვრას ახალი მასალის მიმართ (მოსაზრებების ურთიერთგაზიარება, ახალი სასწავლო მასალის შინაარსის დაკავშირება მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, შეძენილი ცოდნის აქტივაცია და ა.შ.);

- უზრუნველყოფთ თუ არა შედეგსა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას;

- უზრუნველყოფთ თუ არა დაგეგმილ აქტივობათა განხორციელებისათვის სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევას (ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფური, მთელი კლასის მონაწილეობით);

- ზრდის თუ არა მოსწავლეთა მოტივაციას სიტყვიერი შექება ან წახალისება?

- თანამშრომლობითი სწავლება იწვევს თუ არა ცვლილებებს მოსწავლეთა თვითშეფასებაში, პასუხისმგებლობასა და ურთერთდამოკიდებულებაში?

- კლასის ფიზიკური გარემოს ცვლილება ახდენს თუ არა დადებით გავლენას მოსწავლის განწყობასა და სწავლის შედეგებზე;